იხ. ქვემოთ განმარტებები ხარვეზებთან დაკავშირებით:

1. წარმოდგენილი იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული აქტი და შესაბამისი ჯარიმის გადახდის ქვითარი;

–ჯარიმასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მივმართეთ განაცხადით 19/01231503431-17. განაცხადი დამუშავების პროცესშია.

2. .შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: * - პანდუსი სცდება საკადასტრო საზღვრებს, მოცემულ ნაწილში საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ქონების მჯართვის სააგენტოს თანხმობა.

- მოგახსენებთ, რომ პანდუსთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს მივმართეთ განაცხადით QN1829950. ჩვენი მხრიდან მიმდინარეობს ქონების სააგენტოს მოთხოვნების შესრულება დამატებითი საპროექტო დოკუმენტაციისა წარმოდგენისა და შესაბამის უწყებებთან შეთანხმებების მოპოვების თაობაზე.

3. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობანაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : დაზუსტდეს კ2 კოეფიციენტის საანგარიშო კროკები. (+30.95 ნიშნულზე ტექნიკური ოთახები არ არის შეყვანილი კ-2 კოეფიციენტში) აღნისნული სართულის სიმაღლე აღემატება 2.30ს შესაბამისად მოცემული სართული არის სრული და საჭიროა შეყვანილ იქნეს კ2 კოეფიციენტში.

–იქედან გამომდინარე, რომ საკანონმდებლო აქტებში არასრული სართულის განმარტება განსხვავებულია და ეს განსხვავება ასევე ვარიაციულია პერიოდების მიხედვით, გთხოვთ, დაგვიზუსტოთ, რომელი მოქმედი ნორმით უნდა ვიხელმძღვანელოთ წინამდებარე პროექტთან დაკავშირებით.

ასევე, მოგახსენებთ, რომ სიმყარისა და ანტივიბრაციული ზომების უზრანველსაყოფად ტექნიკურ სართულზე იგეგმება არმირებული ბეტონის იატაკების მოწყობა დანადგარების ქვემოთ, შესაბამისად არასრული სართულის საშუალო სიმაღლე არ გადააჭარბებს 2,30 მ–ს.